

ტექნოლოგიური მიღწევების გავლენა თანამშრომლების შენარჩუნებაზე  
საბანკო ინდუსტრიაში

მარიამი გუდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა რიყამაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

“როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამი გუდაძე

## აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ტექნოლოგიური მიღწევების გავლენას თანამშრომლების შენარჩუნებაზე საქართველოს საბანკო ინდუსტრიაში. კვლევის მიზანია განსაზღვროს, როგორ მოქმედებს ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება, ტექნოლოგიური ტრენინგების სიხშირე და ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი შფოთვა თანამშრომლების შენარჩუნების დონეზე.

კვლევაში მონაწილეობდა 200 თანამშრომელი საქართველოს სხვადასხვა ბანკიდან, გაანალიზდა რაოდენობრივი მონაცემები, რათა დადგენილიყო ზემოხსენებული ფაქტორების გავლენა თანამშრომლების შენარჩუნებაზე.

შედეგებმა აჩვენა, რომ ტექნოლოგიური ინსტრუმენტების რეგულარული გამოყენება და ტექნოლოგიური ტრენინგების სიხშირე დადებითად მოქმედებს თანამშრომლების შენარჩუნებაზე, ხოლო ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი შფოთვა უარყოფითად. ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება ხელს უწყობს თანამშრომლების კმაყოფილებასა და პროდუქტიულობას, რაც ზრდის მათ ორგანიზაციაში დარჩენის სურვილს. ამასთან, ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი შფოთვა ამცირებს თანამშრომლების მოტივაციას და სამუშაოს მიმართ დამოკიდებულებას.

დასკვნით ნაწილში განხილულია კვლევის შედეგების პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა, ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საბანკო ინდუსტრიაში თანამშრომლების შენარჩუნების გაუმჯობესებას. რეკომენდაციები მოიცავს რეგულარული და ხარისხიანი ტექნოლოგიური ტრენინგების ჩატარებას, ტექნოლოგიური ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებასა და ტექნოლოგიური ცვლილებების შფოთვის მართვას.

მიღებული შედეგები და რეკომენდაციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ბაზას სამომავლო კვლევებისთვისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საბანკო ინდუსტრიის განვითარებას, თანამშრომლების მოტივაციისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.

## Abstract

This master's thesis examines the impact of technological advancements on employee retention in the banking industry of Georgia. The aim of the research is to determine how the use of technological tools, the frequency of technological training, and the anxiety caused by technological changes affect employee retention.

The study involved 200 employees from various banks in Georgia who completed a questionnaire. Quantitative data were analyzed to determine the impact of the above factors on employee retention.

The results showed that the regular use of technological tools and the frequency of technological training positively affect employee retention, while anxiety caused by technological changes has a negative impact. The use of technological advancements contributes to employee satisfaction and productivity, increasing their desire to stay with the organization. Conversely, anxiety from technological changes decreases employee motivation and their attitude toward work.

The conclusion discusses the practical and theoretical significance of the research findings and provides recommendations aimed at improving employee retention in the banking industry. Recommendations include conducting regular and high-quality technological training, actively using technological tools, and managing anxiety related to technological changes.

The findings and recommendations provide a valuable basis for future research and practical application, contributing to the development of the banking industry in Georgia and supporting employee motivation and professional growth.